საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე – კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი – კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი – ადვოკატი ნ. გ. /სიითი №/

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 01.09.2022

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 070/22

საჩივარი შეტანილია: ადვოკატ დ. მ.-ის /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ დ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2022 წლის პირველ სექტემბერს სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა ადვოკატმა ნ. გ.-მ და მოითხოვა ადვოკატ დ. მ.-სთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2022 წლის 30 აგვისტოს ნ. გ. ბრალდებულის სტატუსით მონაწილეობდა სასამართლო პროცესზე (სისხლის სამართლის საქმე №). აღნიშნულ სასამართლო პროცესს ესწრებოდა ადვოკატი დ. მ., რომელიც პროცესის მიმდინარეობისას,

სასამართლოს სხდომის დარბაზიდან ცდილობდა ნ. გ.-სათვის ხელის შეშლას და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, რის გამოც ადვოკატმა ნ. გ.-მ რამდენჯერმე მიმართა მოსამართლეს, დ. მ.-სთვის გაფრთხილების მიცემის თხოვნით.

1.3 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2022 წლის 30 აგვისტოს სისხლის სამართლის საქმის № განხილვისას, შესვენების დროს ადვოკატი დ. მ. ყვირილით მივიდა მოსამართლესთან, წარუდგინა თაბახის ფურცლები და ფოტოსურათები და განაცხადა, რომ „ნ. გ. და მასთან ერთად ბრალდებული ოთხი ქალი არიან უთოფო ყაჩაღები, რომლებმაც სიკვდილამდე მიიყვანეს უამრავი ადამიანი“. დ. მ. არღვევდა სასამართლოს სხდომის წესებს, უპატივცემულოდ ექცეოდა დაცვის მხარის ყველა ადვოკატს და აცხადებდა, რომ მათ „დააყაჩაღეს მ. თ. და მიითვისეს მისი ქონება“. სასამართლო პროცესზე დ. მ.-ს შეუფერებელ ქცევას ადასტურებს ლ. ჭ.-ის მიერ გადაღებული ვიდეო მასალა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი დ. მ. სასამართლო პროცესზე გამოცხადდა არაფხიზელ მდგომარეობაში, რაც გარეგნულადაც შესამჩნევი იყო. ის ადვოკატ ნ. გ.-ს აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, კერძოდ ადვოკატმა დ. მ.-მ ნ. გ.-ს უწოდა „თაღლითი“ და განაცხადა, რომ მან „უკანონოდ მიითვისა მრავალი ქონება“. ადვოკატი დ. მ. ადვოკატ ნ. გ.-ის მიმართ, ყველას გასაგონად აცხადებდა, რომ მისი კოლეგა „უბნის მაღაზიის მუშაკებს უწყობდა პროვოკაციებს“; „პოლიციელ გამომძიებელს დაურეკა, გამოიძახა და შემდეგ გაუპატიურება დააბრალა და დააჭერინა.“ ადვოკატი დ. მ. აცხადებდა, რომ „მ. თ.-ს არ დააჩაგრინებდა და მას ეს უნდა სცოდნოდა.“ საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ადვოკატი დ. მ. ადვოკატ თ. ქ.-სთან ერთად ემუქრებოდა და აცხადებდნენ, რომ „არ დატოვებდნენ დაუსჯელს“.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, 2022 წლის 30 აგვისტოს, სასამართლო სხდომის დასრულების შემდეგ, ადვოკატმა დ. მ.-მა თავის კოლეგასთან - თ. ქ.-სთან ერთად, სასამართლოს კიბეებზე შეხვედრისას, მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, დაემუქრა სიცოცხლის ხელყოფით და განუცხადა, რომ „მომავალ სხდომამდე მოუღებდა ბოლოს და ვერ მოესწრებოდა მტკიცებულებების გამოქვეყნებას და არ მისცემდნენ მოსამართლისათვის აზრის შეცვლის საშუალებას“.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ეთიკის კომისიის აპარატი 2022 წლის 6 სექტემბერს, ტელეფონის საშუალებით დაუკავშირდა ადვოკატ დ. მ.-ს, სსიპ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ერთიან ელ. ბაზაში მითითებულ ნომერზე - 5********, ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ წარმოდგენილ საჩივარზე ინფორმაციის მიწოდების მიზნით. ადვოკატმა დ. მ. მა 2022 წლის 14 სექტემბერს ადვოკატ ნ. გ.-ის საჩივარი დისციპლინურ საქმეზე 070/22 ჩაიბარა ადვოკატთა ასოციაციის ოფისში. ადვოკატს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია წერილობითი ახსნა-განმარტება. შესაბამისად, ეთიკის კომისიისათვის უცნობია ადვოკატის პოზიცია საჩივართან დაკავშირებით.

II სამოტივაციო ნაწილი

3. **ფორმალური წინაპირობების შემოწმება:**

3.1 ადვოკატი დ. მ. არის სსიპ საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი /სიითი №/, სპეციალიზაცია - სისხლის სამართალი; არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება

3.2 ადვოკატმა ნ. გ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2022 წლის პირველ სექტემბერს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2022 წელს. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

3.4 ადვოკატმა ნ. გ.-მ 2022 წლის 19 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა მესამე დისციპლინური კოლეგიის თავმჯდომარის - მამუკა ნოზაძის აცილების შუამდგომლობა, სადაც აცილების საფუძვლად მიუთითა, რომ მასსა და ადვოკატ მამუკა ნოზაძეს შორის 2006-2008 წლებში მოხდა უთანხმოება, ვინაიდან ადვოკატი მამუკა ნოზაძე დაუპირისპირდა ადვოკატთა ასოციაციის მაშინდელ თავმჯდომარეს - ზ. ხ.-ს. მამუკა ნოზაძის პოზიციას არ იზიარებდა ნ. გ. საჩივრის ავტორი განმარტავს, რომ ის წლებია არ ელაპარაკება ადვოკატ მამუკა ნოზაძეს და გამარჯობასაც არ ეუბნება მას. საჩივრის ავტორის განცხადებით, ადვოკატი მამუკა ნოზაძე იყო ადვოკატ თ. ქ.-ის წარმომადგენელი და მასთან აქვს მეგობრული ურთიერთობა, რის გამოც მოითხოვა მამუკა ნოზაძის აცილებას დისციპლინური საქმიდან N070/22.

3.5 საპროცესო კოლეგია, 2022 წლის 28 სექტემბერს, „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 12.3 მუხლის საფუძველზე, მამუკა ნოზაძის გარეშე განიხილა ადვოკატ ნ. გ.-ის მიერ წარმოდგენილი 2022 წლის 19 სექტემბრის აცილების განცხადება და გადაწყვეტილება კოლეგიის თავმჯდომარე მამუკა ნოზაძის აცილების შუამდგომლობა არ დაკმაყოფილდა შემდეგ გარემოებათა გამო. კოლეგია განმარტავს, რომ აცილების განცხადება დასაბუთებული უნდა იყოს, რადგან დაკმაყოფილების შემთხვევაში წარმოადგენს დაკისრებული ვალდებულების განხორციელებაზე უარის თქმას და მეორეს მხრივ, ქმნის ეთიკის კომისიაში თვითაცილების სტანდარტს. ეთიკის კომისია დისციპლინურ საქმეს განიხილავს მიუკერძოებლად. მიუკერძოებლობა, როგორ წესი ნიშნავს საქმისადმი წინასწარი დაინტერესებისა და ტენდენციურობის გამორიცხვას და იგი ფასდება სუბიექტური და ობიექტური ტესტის მიხედვით. სუბიექტური კატეგორიის შეფასებისას ყურადღება მახვილდება საქმის განმხილველი წევრის პირად დაინტერესებაზე საქმის მიმართ. ევროსასამართლოს პრაქტიკით აღიარებულია პრეზუმფცია, რომ „კოლეგიის წევრი არ არის სუბიექტურად მიკერძოებული. ეს გამომდინარეობს სამართალურთიერთობებში მონაწილე პირთა კეთილსინდისიერების პრეზუმფციიდან. ივარაუდება, რომ კოლეგიის წევრი აიცილებდა საქმეს, რომ თვლიდეს თავს მიკერძოებულად. სუბიექტური ტესტისაგან განსხვავებით, ობიექტური ტესტი აწესებს დამატებით გარანტიებს და აცილების წინაპირობებს განმარტავს უფრო ფართოდ. ობიექტური კატეგორიის მიხედვით უნდა შეფასდეს ფაქტები, რომლებმაც

შესაძლებელია გონიერი დამკვირვებლის თვალში წარმოშვას ეჭვი კომისიის წევრის მიკერძოებაზე. საპროცესო კოლეგია აფასებს საქმის განხილვის პროცესს და საპროცესო კოლეგიის წევრის დამოკიდებულებას საქმის მონაწილე მხარეთა და საქმის მიმართ“ (ეთიკის კომისიის 2018 წლის 1 ნოემბრის გადაწყვეტილება, დისციპლინური საქმე 098/18, პარ. 11.1.4-11.1.5).

3.6 მიუკერძოებლობის შეფასებისას ყურადღება ექცევა თვით მოვლენათა გარეგნულად გამოჩენის - საზოგადოების მიერ მისი აღქმის ფორმასაც. ეთიკის კომისიის წევრი საქმის განხილვისას, არა მხოლოდ უნდა იყოს მიუკერძოებელი, არამედ, ობიექტური დამკვირვებლის თვალშიც უნდა აღიქმებოდეს ასეთად. საქმის განხილვის პროცესში წევრები მუშაობენ კოლეგიურად, მაგრამ ავტონომიური დამოუკიდებლობით. კომისიის ყველა წევრის ინდივიდუალური და ინსტიტუციური დამოუკიდებლობა დაცულია, როგორც კანონმდებლობით, ასევე წევრთა მხრიდან. სხვა დისციპლინურ საქმეში კოლეგიის წევრის მიერ განხორციელებული საპროცესო მოქმედებები დაცულია პროფესიული დამოუკიდებლობით. კომისიის წევრი დამოუკიდებლად აფასებს მხარეთა შუამდგომლობებს და ობიექტური საფუძვლების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას შუამდგომლობის დაკმაყოფილების ან დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ობიექტურ კრიტერიუმებზე დაყრდნობით და შეფასებისას გაითვალისწინა მამუკა ნოზაძის პოზიციაც, რომელიც არ დაეთანხმა ადვოკატ ნ. გ.-ის შუამდგომლობას და განმარტა, რომ აცილების შუამდგომლობაში ასახული ფაქტები არ შეესაბამება სინამდვილეს. მამუკა ნოზაძემ დააზუსტა, რომ ადვოკატ თ. ქ.-სთან აქვს ნორმალური, კოლეგიალური ურთიერთობა, ისე როგორც ასოციაციის ასეულობით წევრთან. და კოლეგიალობის პრინციპიდან გამომდინარე, კოლეგის თხოვნის საფუძველზე, მან წარსულში ადვოკატს გაუწია წარმომადგენლობა. მამუკა ნოზაძემ განმარტა, რომ სხვა კოლეგის თხოვნის შემთხვევაშიც, კოლეგიალობის პრინციპიდან გამომდინარე, აუცილებლად დაეხმარებოდა კოლეგას.

3.7 2022 წლის 19 სექტემბერს წარმოდგენილ შუამდგომლობაში ადვოკატ ნ. გ.-ს არ წარმოუდგენია ობიექტური მიზეზები, გარემოებები და მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა საპროცესო კოლეგიის თავმჯდომარის არაობიექტურ, მტრულ და მიკერძოებულ დამოკიდებულებას საჩივრის ავტორის მიმართ. შუამდგომლობაში ასახული მსჯელობა არის საჩივრის ავტორის სუბიექტური მოსაზრება, რომელიც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის შესაბამისად განმტკიცებული არ არის შესაბამისი მტკიცებულებებით და საჩივრის ავტორს შესრულებული არ აქვს კანონით მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება. საპროცესო კოლეგია იზიარებს ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული სასამართლოს პრაქტიკას: „პროცესში მონაწილე მხარისადმი [მოსამართლის მხრიდან] პირადი მტრული დამოკიდებულება, უნდა ჩაითვალოს მოსამართლის აცილების მნიშვნელოვან წინაპირობად, რადგანაც მოსამართლეებს მოეთხოვებათ, რომ მათ თავიანთი საქმიანობა განახორციელონ ნეგატიური განწრახვების/დამოკიდებულების გარეშე. თუმცა პრაქტიკაში ყოველთვის რთულია განხორციელდეს მოსამართლის პიროვნული ნეგატიური დამოკიდებულების შეფასება სუბიექტური ტესტის თანახმად. შესაბამისად სტრასბურგის სასამართლო უპირატესობას

ანიჭებს ობიექტური ტესტის გამოყენებას სიტუაციის შეფასებისას“ (Rustavi 2 Broadcasting Company Ltd and Others v. Georgia, 2019, § 359).

3.8 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის მითითება იმაზე, რომ ადვოკატ მამუკა ნოზაძეს 2006-2008 წლებში შესაძლოა ჰქონოდა კონფლიქტი სხვა ადვოკატთან და საჩივრის ავტორი არ იზიარებდა მის პოზიციას, ვერ იქნება კომისიის წევრის აცილების საფუძველი, ვინაიდან ბუნდოვანია როგორ შეიძლება ეთიკის კომისიის წევრს პროფესიული ვალდებულების შესრულებისას ხელი შეუშალოს წარსულში მომხდარმა სავარაუდო დაპირისპირებამ, რომელიც არ დასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით, არა საჩივრის ავტორთან, არამედ სხვა ადვოკატთან. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ კომისიის წევრის მიმართ ადვოკატ ნ. გ.-ის სუბიექტური დამოკიდებულება და განცხადება, რომ ის არ ესალმება ადვოკატ მამუკა ნოზაძეს ეჭვქვეშ ვერ დააყენებს კომისიის თავმჯდომარის მიუკერძოებლობასა და ობიექტურობას. საპროცესო კოლეგიამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ საჩივრის ავტორი აპელირებს ადვოკატ მამუკა ნოზაძის მიერ კოლეგის - თ. ქ.-ის წარმომადგენლობის ფაქტზე. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ეთიკის კოდექსი ადვოკატებს ავალდებულებს დაიცვან კოლეგიალობის პრინციპი, რომლის მიზანია ადვოკატებს შორის ნდობის, თანამშრომლობის და პატივისცემის დამკვიდრება. საპროცესო კოლეგიისათვის უცნობია რა კავშირშია წარსულში, წლების წინ სხვა სამართლებრივ საქმეზე კოლეგის წარმომადგენლობა აღნიშნული დისციპლინური საქმის განხილვასთან. ადვოკატ მამუკა ნოზაძეს, ისევე როგორც სხვა ნებისმიერ ადვოკატს პროფესიული საქმიანობიდან გამომდინარე, ყოველდღიური კოლეგიური ურთიერთობა აქვს თავის კოლეგებთან, რაც ცალსახაა, ვერ იქნება მისი დისციპლინური საქმიდან ჩამოცილების საფუძველი. ამასთან, საპროცესო კოლეგიამ, შუამდგომლობაზე მსჯელობისას ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ განსახილველ საქმეზე ადვოკატ ნ. გ.-ის საჩივარი წარდგენილია ადვოკატ დ. მ.-ის და არა ადვოკატ თ. ქ.-ის მიმართ. შესაბამისად, კოლეგიისათვის უცნობია როგორ შეიძლება შეუშალოს ხელი პროფესიული ვალდებულების შესრულებაში მამუკა ნოზაძეს არა მოპასუხე ადვოკატთან, არამედ ადვოკატ თ. ქ.-სთან კოლეგიალურმა ურთიერთობამ.

3.9 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ პროცესის მონაწილის მიმართ კოლეგიის თავმჯდომარის მტრული, მიკერძოებული დამოკიდებულება მხოლოდ ობიექტური ტესტის ქვეშ შეიძლება გამოვლენილიყო, რა დროსაც ობიექტური დამკვირვებელი მხედველობაში მიიღებდა წარსულ მოვლენებს, მათ შორის, საქმის განხილვის ადრეულ ეტაპზე გამოხატა თუ არა კომისიის წევრმა სურვილი - აეცილებინა საქმე. კოლეგიის წევრის აცილების საკითხი საპროცესო კოლეგია განიხილა სწორედ ობიექტურ ტესტზე დაყრდნობით და მისი შეფასებით, დისციპლინური საქმის N070/22 განხილვისას კოლეგიის თავმჯდომარეს - მამუკა ნოზაძეს არ გამოუმჟღავნებია ნეგატიური დამოკიდებულება საჩივრის ავტორის მიმართ. საჩივრის ავტორის შუამდგომლობაში მითითებული ფაქტები არის დაუსაბუთებელი და არ წარმოადგენს აცილების შუამდგომლობის დაკმაყოფილების ობიექტურ საფუძველს.

3.10 საჩივრის ავტორმა 2022 წლის 19 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა შუამდგომლობა და მოითხოვა საპროცესო კოლეგიას სასამართლოსგან გამოეთხოვა 2022 წლის 30 აგვისტოს N14 სასამართლო სხდომის ვიდეო თვალის ჩანაწერი, 10:00-12:00 საათების პერიოდში, რაც დაადასტურებდა ადვოკატ დ. მ.-ის მიერ მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტებს. ადვოკატმა ასევე იშუამდგომლა, რომ ეთიკის კომისიას თბილისის საქალაქო სასამართლოდან გამოეთხოვა 2022 წლის 30 აგვისტოს სასამართლოს მთავარი შესასვლელის მხრიდან ამომავალი კიბეების მაყურებელი ვიდეოთვალის ჩანაწერი 12:00 საათიდან, 13:00/14:00 საათების პერიოდში. 2022 წლის 19 სექტემბრის შუამდგომლობაში ადვოკატი ნ. გ. უთითებს, რომ ეთიკის კომისიამ გამოითხოვოს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლ. შ.-ის წარმოებაში არსებული საქმე. ადვოკატის განმარტებით, აღნიშნულ საქმეზე თანდართულ დოკუმენტაციაში დ. მ. აყენებს შეურაცხყოფას და უწოდებს „თაღლითს“. ადვოკატის განმარტებით, მან სცადა აღნიშნული მტკიცებულებების დამოუკიდებლად გამოთხოვა, თუმცა მტკიცებულებების მიღება ვერ მოახერხა. პოზიციის დასადასტურებლად, ადვოკატმა ნ. გ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურის უფროსის მოვალეობის შემსრულებლის დ. მ.-ის სახელზე წარდგენილი განცხადება, სადაც ის ითხოვდა 2022 წლის 30 აგვისტოს სასამართლო სხდომის ვიდეო და აუდიო ჩანაწერებსა და თბილისის საქალაქო სასამართლოში განთავსებული ვიდეო-სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერებს.

3.11 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ, მტკიცებულებების შეგროვებისას ეთიკის კომისია ხელმძღვანელობას „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-17 მუხლის პირველი და მეორე პუქნტებით, რომლის მიხედვითაც „მტკიცებულებებს დისციპლინურ კოლეგიას წარუდგენენ მხარეები“ და „თუ მხარეებმა ვერ შეძლეს მტკიცებულებების მიღება და დისციპლინურ კოლეგიაში წარდგენა, მხარეთა შუამდგომლობით დისციპლინურ კოლეგიას შეუძლია გამოითხოვოს მტკიცებულებები.“ ეთიკის კომისიაში საქმისწარმოება ემყარება შეჯიბრებითობისა და სამართლიანობის პრინციპებს. მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მტკიცებულებების გამოთხოვა წარმოადგენს კომისიის დისკრეციულ უფლებამოსილებას. კომისია უფლებამოსილია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე მიმართოს უფლებამოსილ ორგანოებს, თუ მხარემ ყველა გონივრული შესაძლებლობა გამოიყენა მტკიცებულებების მოსაპოვებლად, თუმცა მტკიცებულებების მოპოვება მისგან დამოუკიდებელი მიზეზებით ვერ შეძლო. ადვოკატმა ნ. გ.-მ ეთიკის კომისიაში წარმოადგინა 2022 წლის 05 სექტემბერს თბილისის საქალაქო სასამართლოს მანდატურის სამსხურის უფროსის ფუნქციების შემსრულებლის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის - დ. მ.-ს პასუხი (წერილი N), სადაც განმარტებულია, რომ 2022 წლის 30 აგვისტოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს N14 დარბაზში გამართული სხდომის მიმდინარეობის ამსახველი აუდიო-ვიდეო მასალის გამოსათხოვად მხარემ უნდა მიმართოს საქმის განმხილველ მოსამართლეს (შემადგენლობას). ამავე წერილში განმარტებულია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოში განთავსებული ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით ჩაწერა ხორციელდება მხოლოდ წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის მიზნით და ვიდეო-ჩანაწერის გაცემა ხდება მხოლოდ კანონით დადგენილი წესით. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ მტკიცებულებების მისაღებად ადვოკატმა ნ. გ.-მ მიმართა არაუფლებამოსილ პირს, მიუხედავად იმისა, რომ

მისთვის - როგორც ადვოკატისათვის ცნობილი იყო აღნიშნული მტკიცებულების გაცემაზე უფლებამოსილი პირი და მას ჰქონდა ობიექტური შესაძლებლობა მტკიცებულებების გამოთხოვის მოთხოვნით მიემართა საქმის განმხილველი მოსამართლისათვის, რაც ადვოკატს არ გაუკეთებია. დ. მ.-ს წერილიდან ირკვევა, რომ სამეთვალყურეო კამერების ჩანაწერები გაიცემა მხოლოდ კანონით დადგენილ, გამონაკლის შემთხვევებში და ის არც ეთიკის კომისიისათვის იქნება ხელმისაწვდომი. შესაბამისად, დასახელებულ ნაწილებში არ არსებობს შუამდგომლობის დაკმაყოფილების საფუძველი. ადვოკატ ნ. გ.-ს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია იმ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ მან მიმართა მოსამართლე ლ. ჩ.-ს მტკიცებულებების მიღების მიზნით და მისი შუამდგომლობა სასამართლოს მიერ არ დაკმაყოფილდა. საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატის შუამდგომლობაზე და მიიღო გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ, ვინაიდან ადვოკატ ნ. გ.-ს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულებები, რაც დაადასტურებდა, რომ დოკუმენტების მოპოვების მიზნით მის ხელთ არსებული ყველა ზომა გამოიყენა: მიმართა უფლებამოსილ ორგანოებს; მოქმედებდა - „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-17 მუხლის 1-ლი და მეორე პუნქტების დაცვით; თუმცა მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო ვერ შეძლო საქმის მასალების მიღება. ადვოკატს ჰქონდა ყველა სამართლებრივი შესაძლებლობა განეხორციელებინა შესაბამისი საპროცესო მოქმედებები, თუმცა მას ეს არ გაუკეთებია, მითუმეტეს რომ ის არის ადვოკატი და ფლობს შესაბამის პროფესიულ უნარ-ჩვევებს.

3.12 საპროცესო კოლეგიამ 2022 წლის 28 სექტემბერს განიხილა ადვოკატ ნ. გ.-ის შუამდგომლობა N123/22, სადაც საჩივრის ავტორი ითხოვდა საპროცესო კოლეგიის სხდომის გადადებას, იმ საფუძვლით, რომ ვერ დაუკავშირდა მის წარმომადგენელს და შუამდგომლობა N124/22, სადაც ადვოკატმა ხელახლა მოითხოვა კოლეგიის თავმჯდომარის აცილება და სასამართლოდან მტკიცებულებების გამოთხოვა, 2022 წლის 19 სექტემბრის შუამდგომლობაში მითითებული საფუძვლებით. საპროცესო კოლეგიამ, თავმჯდომარის - მამუკა ნოზაძის მონაწილეობის გარეშე ხელახლა განიხილა აცილების შუამდგომლობა (განცხადება N124/22) და 2022 წლის 19 სექტემბრის შუამდგომლობაზე მსჯელობისას მითითებული დასაბუთებით (იხ. გადაწყვეტილების 3.8 პუნქტი) კვლავ მიიღო შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება. კოლეგიამ სრული შემადგენლობით, განმეორებით იმსჯელა სასამართლოდან მტკიცებულებების გამოთხოვაზე და იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ადვოკატმა ნ. გ.-მ არც ამჯერად მიმართა სასამართლოდან მტკიცებულებების გაცემაზე უფლებამოსილ პირს და არ გამოიყენა მის ხელთ არსებული საშუალებები მტკიცებულებების მოსაპოვებლად, ადვოკატს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე. საპროცესო კოლეგიამ სრული შემადგენლობით განიხილა ადვოკატ ნ. გ.-ის შუამდგომლობა სხდომის გადადებაზე (განცხადება N123/22) და მიიღო გადაწყვეტილება შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე. საპროცესო კოლეგიის განმარტებით, მიუხედავად იმისა, რომ ნ. გ. არის კვალიფიციური ადვოკატი, რომელიც ფლობს შესაბამის პროფესიულ უნარებს, მას კომისიამ შესთავაზა, რომ დისციპლინურ წარმოებაში მონაწილეობის მიღება შეეძლო წარმომადგენლის მეშვეობით, კერძოდ, კოლეგიამ ადვოკატს შეტყობინება გაუგზავნა 2022 წლის 20 სექტემბერს, რომელიც

ადვოკატს ჩაბარდა მომდევნო დღეს. 2022 წლის 21 სექტემბერს ადვოკატს ფოსტისა და ელ.ფოსტის საშუალებით ეცნობა საპროცესო სხდომის თარიღი - 2022 წლის 28 სექტემბერი. შესაბამისად, საჩივრის ავტორს ჰქონდა 1 კვირიანი ვადა წარმომადგენელთან შესათანხმებლად. ადვოკატმა ნ. გ.-მ 2022 წლის 28 სექტემბერს - საპროცესო კოლეგიის სხდომის დღეს, ეთიკის კომისიაში წარმოადგინა განცხადება, სადაც იშუამდგომლა სხდომის გადადებაზე იმ საფუძვლით, რომ ვერ დაუკავშირდა წარმომადგენელს. ადვოკატ ნ. გ.-ს ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია მტკიცებულება, რომ მან სცადა წარმომადგენელთან დაკავშირება, თუმცა უშედეგოდ. ადვოკატ ნ. გ.-ს არ წარმოუდგენია ის საპატიო მიზეზი, რის გამოც ის და მისი წარმომადგენელი ვერ ახერხებდნენ საპროცესო სხდომაზე დასწრებას და კოლეგიის პოზიციით სხდომის გადადება ემსახურებოდა საქმისწარმოების გაჭიანურების მიზანს. შესაბამისად, ადვოკატ ნ. გ.-ს უარი ეთქვა შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე.

4. **შემაჯამებელი დასკვნა:**

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. **სამართლებრივი შეფასება**

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა - დ. მ.-მა სასამართლო პროცესზე, ნ. გ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, უწოდა „თაღლითი“; და კოლეგის მიმართ გააჟღერა შემდეგი ფრაზები: „ნ. გ. და მასთან ერთად ბრალდებული ოთხი ქალი არიან უთოფო ყაჩაღები, რომლებმაც სიკვდილამდე მიიყვანეს უამრავი ადამიანი“; „დააყაჩაღეს მ. თ. და მიითვისეს მისი ქონება“; „უბნის მაღაზიის მუშაკებს უწყობდა პროვოკაციებს“; „პოლიციელ გამომძიებელს დაურეკა, გამოიძახა და შემდეგ გაუპატიურება დააბრალა და დააჭერინა“; „უკანონოდ მიითვისა მრავალთა ქონება“; და კოლეგას დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით.

5.2 ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ დ. მ.-ის მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

> ,,ადვოკატი ვალდებულია პატივი სცეს თავის კოლეგას'' (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 7).
>
> ,,ადვოკატი ვალდებულია, პატივი სცეს კოლეგებს, არ შელახოს მათი ღირსება და დაიცვას პროფესიული ღირებულებები.'' (ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსი, მუხლი 10.1).

5.3 საპროცესო კოლეგიას მიაჩნია, რომ ნებისმიერი საადვოკატო საქმიანობის, ფუნქციის შესრულებისას და განხორციელებისას, ადვოკატი ვალდებულია განსაკუთრებული პატივი სცეს კოლეგა ადვოკატებს და არ მიაყენოს პროფესიული საქმიანობის შესრულებისას სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაშიც იგულისხმება ნებისმიერი გამონათქვამი, რაც კოლეგისთვის

აღიქმება უპატივცემულოდ. ამასთან, მით უმეტეს დაუშვებელია კოლეგის ფიზიკური შეურაცხყოფა. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ უპატივცემულობაში არ ითვლება ადვოკატის მიერ ისეთი ქმედება, რომელიც ემსახურება კლიენტის საუკეთესო ინტერესის დაცვას და ჯდება საზოგადოებაში საყოველთაოდ დამკვიდრებულ, ტრადიციულ პატივისცემის წესებში.

5.4 დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი საჩივრის მიხედვით, თბილისის საქალაქო სასამართლოში მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე საჩივრის ავტორი წარმოადგენდა ბრალდებულს, ხოლო ადვოკატი დ. მ. სასამართლო პროცესზე გამოცხადდა, როგორც დამსწრე. ადვოკატ ნ. გ.-ის განმარტებით, ადვოკატი დ. მ. სასამართლო პროცესზე გამოცხადდა არაფხიზელ მდგომარეობაში და მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა. საკუთარი პოზიციის დასადასტურებლად, ადვოკატმა ნ. გ.-მ წარმოადგინა მობილურით გადაღებული ვიდეო, სადაც ასახულია ადვოკატ დ. მ.-ის ქცევა სასამართლო დარბაზში.

5.5 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება, რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამდასტურებელი მტკიცებულებები, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ დ. მ.-ის მიერ კოლეგისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, სწორედ საჩივრის ავტორის - ადვოკატ ნ. გ.-ის სამტკიცებელია. სწორედ საჩივრის ავტორმა უნდა შეუქმნას საპროცესო კოლეგიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ სადავო ფაქტი ჩაიდინა მოპასუხე ადვოკატმა.

5.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე მტკიცების სტანდარტი უფრო დაბალია, ვიდრე განხილვის ეტაპზე. საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. მნიშვნელოვანია, რომ „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

5.7 ეთიკის კომისია ყურადღებას ამახვილებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2011 წლის 28 ივნისის განჩინებას №2ბ/183-11, რომლის მიხედვით ,,მტკიცების ტვირთს მატერიალური კანონი განსაზღვრავს, კერძოდ, ეს ის შემთხვევებია, როდესაც კანონით გათვალისწინებული შემადგენლობის არსებობის პრეზუმფცია მოქმედებს, ხოლო კანონით გათვალისწინებული შემადგენლობისგან განსხვავებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი იმას ეკისრება, ვინც საკანონმდებლო წესრიგიდან არსებულ გადახრას ამტკიცებს.“ მოცემულ შემთხვევაში, ვინაიდან ადვოკატ ნ. გ.-ს გააჩნია პრეტენზია,

რომ ადვოკატმა დ. მ.-მა მის მიმართ დაარღვია ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ადვოკატთა ქცევის პრინციპები, ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი სწორედ საჩივრის ავტორს ეკისრება. მან უნდა შეუქმნას კომისიას დასაბუთებული ვარაუდი, რომ ადვოკატმა დ. მ.-მა შეურაცხყოფა მიაყენა მას და დაემუქრა სიცოცხლის მოსპობით. რადგან ნეგატიური ფაქტის დადასტურება ზოგადად შეუძლებელია, არაგონივრულია ადვოკატ დ. მ.-სათვის მოთხოვნა დაადასტუროს, რომ მას კოლეგისათვის შეურაცხყოფა არ მიუყენებია და არ დამუქრებია მას. იხ. „უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება, საქმეზე №ას-148-139-2014, სადაც „საკასაციო სასამართლო ... აღნიშნავს, რომ საპირისპიროს მტკიცების ტვირთი მოპასუხეს ეკისრებოდა, ვინაიდან, ობიექტურად შეუძლებელია მხარეს ნეგატიური ფაქტის (გარემოების არ არსებობა, ან, ამ შემთხვევაში, კრებაზე მოუწვევლობა) მტკიცების ვალდებულება დაეკისროს..“

5.8 საპროცესო კოლეგია ყურადღებას ამახვილებს საჩივრის ავტორის მიერ ეთიკის კომისიაში წარმოდგენილ სასამართლო პროცესზე გადაღებულ ვიდეო ჩანაწერზე, სადაც აღბეჭდილია ადვოკატ დ. მ.-ის საუბრის მცირე ნაწილი. წარმოდგენილი ვიდეო მასალის ცუდი ხარისხისა და სიმცირის გამო შეუძლებელია იმის დადგენა თუ კონკრეტულად რა განცხადებებს აკეთებდა ადვოკატი დ. მ. და ვის მიმართ. ჩანაწერში ადვოკატ დ. მ.-ის ხმა გარკვევით არ ისმის და გადაფარულია პროცესზე დამსწრეთა ხმებით. შესაბამისად, საპროცესო კოლეგია მოკლებულია შესაძლებლობას შეაფასოს დ. მ.-ის ქცევის ეთიკურობა, რადგან ადვოკატის მიერ გაკეთებული შეფასებების კონკრეტული შინაარსი კომისიისთვის უცნობია.

5.9 მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ ნ. გ.-ს ჰქონდა სრული შესაძლებლობა ეთიკის კომისიაში წარმოედგინა მის მიერ საჩივარში აღწერილი პრეტენზიების დამადასტურებელი ყოველგვარი მტკიცებულება, რომლებსაც ის მიზანშეწონილად მიიჩნევდა და კოლეგიის მიერ 2022 წლის 20 სექტემბერს გაგზავნილი წერილით N319/22 ადვოკატს დაევალა მტკიცებულებების მოპოვების მიზნით მიემართა შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირისათვის. თუმცა, ადვოკატ ნ. გ.-ს წერილობითი საჩივრისა და მობილურით გადაღებული ვიდეოს გარდა ეთიკის კომისიაში არ წარმოუდგენია სადავო ფაქტების დამადასტურებელი სხვა რაიმე მტკიცებულება. კოლეგიამ საჩივრის ავტორის პრეტენზიასთან დაკავშირებით განმარტა, რომ რადგან საქმეში არ არის წარმოდგენილი პრეტენზიის დამადასტურებელი მტკიცებულებები და ფაქტის მტკიცების ტვირთი ეკისრება საჩივრის ავტორს, მხოლოდ საჩივრის ავტორის პოზიცია ვერ გახდება იმის ვარაუდის საფუძველი, რომ ადვოკატმა დ. მ.-მა ჩაიდინა დისციპლინური გადაცდომა.

5.10 საპროცესო კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი ადვოკატის მიერ დისციპლინური გადაცდომის ჩადენის თაობაზე და მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ აქვს ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-7 მუხლისა და მე-10 მუხლის პირველი ნაწილის დარღვევას. შესაბამისად, ადვოკატ დ. მ.-ის მიმართ არ არსებობს დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5.11 საპროცესო კოლეგიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის მე–2 პუნქტით, 31–ე მუხლით და 40–ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №070/22 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ დ. მ.-ის /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/